

**წლიური ანგარიში მხარჯავი დაწესებულების პროგრამების და ქვეპროგრამების შესახებ**

**მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა (32 02 06)**

**განმახორციელებელი:** სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

32 02 06	მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა	11,919.00	7,308.00	7,304.14	100%	0.00
----------	--	-----------	----------	----------	------	------

**საანგარიშო პერიოდში, განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა**

- საანგარიშო პერიოდში შეძენილ იქნა 2 365 912 ცალი სახელმძღვანელო და რვეული, რომელიც მოთხოვნის შესაბამისად დაურიგდა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეებს, ახალგორის მუნიციპალიტეტის ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული იმ სკოლების მოსწავლეებს, სადაც სწავლება ხორციელდება ქართულ ენაზე, ოკუპირებული გალის რაიონის მოსაზღვრე 9 სკოლისა და ოკუპირებული გალის რაიონის ომამდელ საზღვრებში აღდგენილი და ფუნქციონირებადი ოცი სკოლის მოსწავლეს.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები**

უფასო/ხელმისაწვდომი ზოგადი განათლების მიღება საქართველოს ყველა საჯარო სკოლის მოსწავლისათვის, ასევე კერძო სკოლის იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც არიან სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისა და 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული მეომრების შვილები.

**მიღწეული შუალედური შედეგები**

- თანაბრად ხელმისაწვდომია საგანმანათლებლო რესურსები საქართველოს ყველა საჯარო სკოლის მოსწავლისათვის, ასევე, კერძო სკოლის იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც არიან სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისა და 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული მეომრების შვილები, გაუმჯობესებულია განათლების ხარისხი და შექმნილია კომფორტული სასწავლო პირობები.

**დაგეგმილი შუალედური შედეგის ინდიკატორი**

1. საბაზისო მაჩვენებელი - 2015-2016 სასწავლო წელს პროგრამის ბენეფიციართა 100% უზრუნველყოფილი იქნა სასკოლო სახელმძღვანელოებით; მიზნობრივი მაჩვენებელი - 2016- 2017 სასწავლო წელს პროგრამის ბენეფიციართა 100% უზრუნველყოფილი იქნება სასკოლო სახელმძღვანელოებით.

**მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი**

1. 2016- 2017 სასწავლო წელს პროგრამის ბენეფიციართა 100% უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით.

**საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება (32 06)**

განმახორციელებელი : სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

*ათასი ლარი*

პრ. კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	წლიური საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან	საკუთარი სახსრები და მიმართული თანხები
32 06	საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება	89,268.00	79,541.79	79,064.81	99%	0.00
32 06 01	საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მოსწავლეების/სტუდენტების ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა	25,345.00	25,707.08	25,676.12	100%	0.00
32 06 02	საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება	63,923.00	53,834.71	53,388.69	99%	0.00
32 06 02 01	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება	43,760.00	38,414.87	38,149.80	99%	0.00
32 06 02 02	პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება	10,732.00	10,042.29	9,869.71	98%	0.00

32 06 02 03	უმადლესი და სამეცნიერო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება	3,500.00	4,382.68	4,382.68	100%	0.00
32 06 02 04	სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიული ორგანოების ინფრასტრუქტურის განვითარება	5,931.00	994.87	986.50	99%	0.00

**საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა**

- საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფორმაციულ - საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის მიზნით საჯარო სკოლები უზრუნველყოფილია კომპიუტერებით;
- საჯარო სკოლის პირველკლასელი მოსწავლეები და მათი დამრიგებლები უზრუნველყოფილია პორტაბელური კომპიუტერებით;
- წარჩინებული მოსწავლეები დაჯილდოვდნენ კომპიუტერული ტექნიკით;
- დასრულდა ახალი საჯარო სკოლების მშენებლობა და რიგი საჯარო სკოლების რეაბილიტაცია;
- რიგი საჯარო სკოლები აღიჭურვა სასკოლო ავეჯითა და ინვენტარით. სკოლებს გადაეცათ ექიმის კაბინეტებისათვის სამედიცინო ინვენტარი;
- 12 პროფესიულ კოლეჯში დასრულდა სხვადასხვა ტიპის სარეაბილიტაციო სამუშაოები და რიგ კოლეჯებს გადაეცათ სხვადასხვა ტიპის ინვენტარი და აღჭურვილობა;
- 5-მა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ მიიღო დაფინანსება სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის და ერთმა სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის შეძენის მიზნით;
- დასრულდა 10 საგანმანათლებლო რესურსცენტრის რეაბილიტაცია.

**დაგეგმილი საბოლოო შედეგები**

- ყველა სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებაში შექმნილი სრულყოფილი სასწავლო პროცესის შესაბამისი გარემო;
- მოსწავლეების ამაღლებული მოტივაცია;
- უზრუნველყოფილია ყველა საჯარო სკოლა კომპიუტერული ტექნიკითა და ინტერნეტ-კავშირით.

**მიღწეული საბოლოო შედეგები**

- დასრულდა რიგი საჯარო სკოლების მშენებლობა/რეაბილიტაცია, დასრულდა რიგი საჯარო სკოლების გამაგრებითი სამუშაოები, გაზიფიცირება და გათბობის სისტემის დამონტაჟება;
- რიგ საჯარო სკოლებში მოეწყო სპორტული მოედნები, მოეწყო და აღიჭურვა სამედიცინო ოთახები;
- შესწავლილი იქნა რიგი საჯარო სკოლების ავარიულობის საკითხი;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა (სსსმ) საჭიროებების გათვალისწინებით რიგ საჯარო სკოლებში მოეწყო/რეაბილიტაცია ჩაუტარდა შესაბამის ინფრასტრუქტურას, მოეწყო ადაპტირებული სველი წერტილები და დამაგრდა პანდუსები;
- განხორციელდა რიგი საგანმანათლებლო დაწესებულების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

## დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

- 1. საბაზისო მაჩვენებელი** - თანამედროვე სასწავლო გარემოს შექმნის მიზნით მიმდინარეობდა კომპიუტერული ტექნიკითა და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით საჯარო სკოლების ეტაპობრივი აღჭურვის პროცესი;  
**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საჯარო სკოლების სრული აღჭურვა კომპიუტერული ტექნიკითა და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით;
- 2. საბაზისო მაჩვენებელი** - თანამედროვე უნარ-ჩვევების დაუფლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების უკეთ დამღევის მიზნით საჯარო სკოლების ყველა პირველკლასელი მოსწავლე და მათი დამრიგებლები უზრუნველყოფილ იქნენ პერსონალური კომპიუტერებით და განხორციელდა წარჩინებული ახალგაზრდების დაჯილდოება კომპიუტერული ტექნიკით;  
**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საჯარო სკოლების ყველა პირველკლასელი მოსწავლისა და მათი დამრიგებლების უზრუნველყოფა პერსონალური კომპიუტერებით და წარჩინებული ახალგაზრდების დაჯილდოება კომპიუტერული ტექნიკით;
- 3. საბაზისო მაჩვენებელი** - საქართველოს განათლების სისტემაში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების მშენებლობა/რეაბილიტაციის ეტაპობრივი მიმდინარეობა;  
**მიზნობრივი მაჩვენებელი** - გაიზარდა ახალ აშენებული და რეაბილიტირებული საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების რაოდენობა;

## მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

- აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით საჯარო სკოლები, საჭიროების შესაბამისად შეძენილია და გადაცემულია 90 ერთეული სტანდარტული კომპიუტერი;
- საჯარო სკოლების ყველა პირველკლასელი მოსწავლე და მათი დამრიგებელი უზრუნველყოფილია პერსონალური კომპიუტერებით. დაჯილდოებულია წარჩინებული ახალგაზრდები კომპიუტერული ტექნიკით;
- გაზრდილია ახალ აშენებული და რეაბილიტირებული საჯარო სკოლების რაოდენობა, ასევე, გაზრდილია რეაბილიტირებული პროფესიული, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ტერიტორიული ორგანოების რაოდენობა;

საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მოსწავლეების/სტუდენტების ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა (32 06 01)

**განმახორციელებელი:** სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

საანგარიშო პერიოდში, განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

- პროგრამის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფორმაციულ - საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის“ ფარგლებში შეძენილია და გადაცემულია 90 ერთეული სტანდარტული კომპიუტერი საჯარო სკოლებისათვის;
- პროგრამა „ჩემი პირველი კომპიუტერი“-ს ფარგლებში 54 611 ერთეული პორტაბელური კომპიუტერი („ბუკი“) დაურიგდა საქართველოს საჯარო სკოლებში რეგისტრირებულ პირველკლასელ მოსწავლეებს და პირველკლასელი მოსწავლის 2 093 დამრიგებელს;
- 2 390 წარჩინებული მოსწავლე დაჯილდოვდა პორტაბელური კომპიუტერით;

### დაგეგმილი შუალედური შედეგები

- ყველა სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებაში შექმნილი სრულყოფილი სასწავლო პროცესის შესაბამისი გარემო;
- მოსწავლეების ამაღლებული მოტივაცია;
- კომპიუტერული ტექნიკით უზრუნველყოფილი ყველა საჯარო სკოლა.

### მიღწეული შუალედური შედეგები

- განახლებულია ინფორმაციულ - ტექნოლოგიური კომუნიკაციები;
- თანამედროვე ტექნოლოგიების ხარჯზე გაზრდილია სწავლების ხარისხი;
- კომპიუტერული ტექნიკით უზრუნველყოფილი საჯარო სკოლები და ბენეფიციარებისთვის შექმნილია კომფორტული სასწავლო/სამუშაო გარემო.

### დაგეგმილი შუალედური შედეგის ინდიკატორი

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წელს გასულ წლებთან შედარებით 13% - ით გაიზარდა საჯარო სკოლების რაოდენობა, რომელიც აღიჭურვა შესაბამისი რაოდენობის კომპიუტერული ტექნიკით;  
**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით 2016 წელს გაიზარდა საჯარო სკოლების რაოდენობა, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი რაოდენობის კომპიუტერული ტექნიკით.
2. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015-2016 სასწავლო წელს პროგრამის „ჩემი პირველი კომპიუტერი“ ბენეფიციართა 100% უზრუნველყოფილი იქნა პერსონალური კომპიუტერებით;  
**მიზნობრივი მაჩვენებელი** - 2016- 2017 სასწავლო წელს პროგრამის „ჩემი პირველი კომპიუტერი“ ბენეფიციართა 100% უზრუნველყოფილი იქნება პერსონალური კომპიუტერებით

### მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი

1. გაზრდილია 11-ით საჯარო სკოლების რაოდენობა, რომელიც უზრუნველყოფილია საჭირო რაოდენობის კომპიუტერული ტექნიკით;
2. 2016- 2017 სასწავლო წელს პროგრამის „ჩემი პირველი კომპიუტერი“ ბენეფიციარები სრულად უზრუნველყოფილია პერსონალური კომპიუტერებით („ბუკები“), ასევე, დაჯილდოებულია კომპიუტერული ტექნიკით წარჩინებული მოსწავლეები.

## საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება (32 06 02)

**განმახორციელებელი:** სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

### საანგარიშო პერიოდში, განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

- დასრულდა 5 ახალი საჯარო სკოლების მშენებლობა და რიგი საჯარო სკოლების რეაბილიტაცია;
- განხორციელდა რიგი საჯარო სკოლის აზომვითი სამუშაოები და მომზადდა შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციები;
- მომზადდა რიგი საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტები;
- რიგი საჯარო სკოლებისა აღჭურვა სასკოლო ავეჯითა და ინვენტარით. სკოლებს გადაეცათ ექიმის კაბინეტებისათვის სამედიცინო ინვენტარი;
- 12 პროფესიულ კოლეჯში დასრულდა სხვადასხვა ტიპის სარეაბილიტაციო სამუშაოები და რიგ კოლეჯებს გადაეცათ სხვადასხვა ტიპის ინვენტარი და აღჭურვილობა;
- 5-მა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ მიიღო დაფინანსება სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის და ერთმა სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის შეძენის მიზნით;
- დასრულდა 10 საგანმანათლებლო რესურსცენტრის რეაბილიტაცია და საქმინისტროს სისტემაში შმაგალი ერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის.

### დაგეგმილი შუალედური შედეგები

ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩამოყალიბებული სრულყოფილი სასწავლო პროცესისათვის საჭირო პირობები.

### მიღწეული შუალედური შედეგები

განხორციელდა რიგი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში შემაგალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების, ტერიტორიული ორგანოების, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მშენებლობა - რეაბილიტაცია, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, ინვენტარითა და ტექნიკით მომარაგება.

### დაგეგმილი შუალედური შედეგის ინდიკატორი

1. **მიზნობრივი მაჩვენებელი** - რეაბილიტირებული და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი უმაღლესი და სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებების რაოდენობა; რეაბილიტირებული და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა; რეაბილიტირებული და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა

### მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი

1. საჭიროების შესაბამისად რეაბილიტირებულია და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირები, ტერიტორიული ორგანოები, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები.

### **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (32 06 02 01)**

**განმახორციელებელი:** სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

#### **საანგარიშო პერიოდში, განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა**

- დასრულებულია 5 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა (სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ იორმულანლოს საჯარო სკოლა, სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ლამბალოს საჯარო სკოლა, სსიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალი დიოკნისის საჯარო სკოლა, სსიპ ქალაქ თბილისის №103 საჯარო სკოლა, სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ატოცის საჯარო სკოლა);
- დასრულებულია 256 საჯარო სკოლაში სარეაბილიტაციო სამუშაოები, მათ შორის, MCC- ის პროგრამის ფარგლებში 2 საჯარო სკოლის (სოფელ ძეგვის, სოფელ ტინისხიდის) რეაბილიტაცია, ხოლო გორის N5 საჯარო სკოლაში მიმდინარეობს ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები.
- დაფინანსდა 216 საჯარო სკოლა სხვადასხვა სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის;
- განხორციელდა 532-მდე საჯარო სკოლის აზომვითი სამუშაოები და მომზადდა შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია;
- მომზადდა 15 საჯარო სკოლის სხვადასხვა სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტები (სსიპ ქალაქ თბილისის №2 საჯარო სკოლა მე-2 კორპუსი; სსიპ ქალაქ ტყიბულის №7 საჯარო სკოლა; სსიპ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ოსიაურის საჯარო სკოლა; სოსო ღვინიაშვილის სახელობის გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო კაჭრეთის საჯარო სკოლა; სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლა; სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბიწმენდის საჯარო სკოლა; სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაგებერაოს საჯარო სკოლა; კალისტრატე სალიას სახელობის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჯგალის თემის საჯარო სკოლა (შერწყმული კანთის სკოლა); სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქვალონის №1 საჯარო სკოლა; სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლა; სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ორგორის საჯარო სკოლა; სსიპ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ პტენის საჯარო სკოლა; სსიპ ქალაქ მარნეულის №1 საჯარო სკოლა; სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ თორტიზის საჯარო სკოლა; სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფლევის საჯარო სკოლა);
- საანგარიშო პერიოდში 1 630 საჯარო სკოლას გადაეცა 125 341 ერთეული მერხი და 1 327 საჯარო სკოლას 14 426 დაფა;
- 28 საჯარო სკოლისთვის შეძენილი და გადაცემულია 4 540 ერთეულის სხვადასხვა ტიპის ავეჯი;
- 172 საჯარო სკოლას გადაეცა 172 კომპლექტი ექიმის კაბინეტის სამედიცინო ინვენტარის აღჭურვილობა.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები**

ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩამოყალიბებული სრულყოფილი სასწავლო პროცესისათვის საჭირო პირობები.

### მიღწეული შუალედური შედეგები

- დასრულებულია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობა და რეაბილიტაცია;
- უზრუნველყოფილია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები სხვადასხვა სახის აღჭურვილობითა და სასკოლო ინვენტარით, მათ შორის, სამედიცინო ინვენტარით.

### დაგეგმილი შუალედური შედეგის ინდიკატორი

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წელს გასულ წელთან შედარებით 30% - ით გაიზარდა რეაბილიტირებული საჯარო სკოლების რაოდენობა;  
**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით 2016 წელს 51% - ით გაიზარდება რეაბილიტირებული საჯარო სკოლების რაოდენობა;
2. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2014 - 2015 წელს დასრულდა 10 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა;  
**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით 2016 წელს 10 ერთეულით გაიზარდება ახალი აშენებული საჯარო სკოლების რაოდენობა;
3. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2015 წელს გასულ წლებთან შედარებით 16% -ით გაიზარდა ახალი სასკოლო ინვენტარით აღჭურვილი საჯარო სკოლების რაოდენობა;  
**მიზნობრივი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით 2016 წელს 28% გაიზარდება ახალი სასკოლო ინვენტარით აღჭურვილი საჯარო სკოლების რაოდენობა;

### მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი

1. საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით საანგარიშო პერიოდში 50% - ით გაზრდილია რეაბილიტირებული საჯარო სკოლების რაოდენობა;
2. საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით საანგარიშო პერიოდში 5 ერთეულით გაზრდილია ახალი აშენებული საჯარო სკოლების რაოდენობა;
3. საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით საანგარიშო პერიოდში 66 %-ით გაიზარდა ახალი სასკოლო ინვენტარით აღჭურვილი საჯარო სკოლების რაოდენობა,

### ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დასახულ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

ახალ აშენებული სკოლების რაოდენობის მიხედვით, ცდომილების მაჩვენებელი შეადგენს 50%-ს, 2016 წელს მიმდინარეობდა 14 ახალი საჯაროს სკოლის სამშენებლო სამუშაოები და დასრულებულია 5 სკოლის მშენებლობა, ხოლო, დანარჩენი სკოლების მშენებლობა დასრულდება 2017 წელს. აღნიშნული გარემოება გამოწვეულია სამშენებლო კომპანიების მიერ გეგმა-გრაფიკის ჩამორჩენით და სამუშაოების არაჯეროვანი შესრულებით.



## პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (32 06 02 02)

განმახორციელებელი: სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

### საანგარიშო პერიოდში, განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

- 12 პროფესიულ კოლეჯში დასრულდა სხვადასხვა ტიპის სარეაბილიტაციო სამუშაოები კერძოდ, სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „ოპიზარი“ შენობის გამაგრებითი სამუშაოები, სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივ კოლეჯის ღობის მოწყობის სამუშაოები, დაბა სტეფანწმინდისა და დაბა თიანეთის პროფესიული განყოფილებების სარეაბილიტაციო სამუშაოები, სსიპ პროფესიულ კოლეჯში „ლაკადა“ ეზოს კეთილმოწყობა და ლიფტების მშენებლობა, სსიპ პროფესიულ კოლეჯში „მოდუსი“ კედლების, იატაკის, ჭერის, გათბობის, ვენტილაციის, კანალიზაციის შეკეთება და სხვა გამაგრებითი სამუშაოები, სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განყოფილების სახელოსნოების რეაბილიტაცია; სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „აისი“ ლიფტის მოწყობის, მეფუტკრის სახელოსნოს და სხვა სარეაბილიტაციო სამუშაოები, სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „ახალი ტალა“ ლიფტის მშენებლობის და სხვა სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოჯიხევის პროფესიული განყოფილების ორ სართულიანი შენობის სრული რეაბილიტაცია და ოთხ სართულიანი შენობის ფასადის და სარინელის მოწყობის სამუშაოები, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ნაწილობრივი რეაბილიტაცია; სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისი“ რეაბილიტაცია;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები აღიჭურვნენ სხვადასხვა სახის ინვენტარით: ცხრა პროფესიულ სასწავლებელს გადაეცა 1 731 ერთეული მერხი, 3 პროფესიულ სასწავლებელს გადაეცა ავეჯი, 14 პროფესიული სასწავლებელს გადაეცა პროექტორები და ინტერაქტიული დაფები, ასევე, სამრეწველო ინოვაციური ლაბორატორიები, ხოლო, 9 პროფესიული სასწავლებელს გადაეცა 602 ერთეული პერსონალური კომპიუტერი;
- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალა“ და სსიპ შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტისთვის შეძენილი და გადაცემულია საოჯახო ტექნიკა;
- განხორციელდა 16 პროფესიული სასწავლებლის დაფინანსება სხვადასხვა (შენობა-ნაგებობების) სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულების და აღჭურვის მიზნით.

### დაგეგმილი შუალედური შედეგები

- ყველა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩამოყალიბებულია სრულყოფილი სასწავლო პროცესისათვის საჭირო პირობები;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების გაზრდილი რაოდენობა.

### მიღწეული შუალედური შედეგები

- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებში შექმნილია სრულყოფილი სასწავლო პროცესისათვის საჭირო პირობები. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები

საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში რეაბილიტირებულია და უზრუნველყოფილია საჭირო ინვენტარითა და აღჭურვილობებით.

### დაგეგმილი შუალედური შედეგის ინდიკატორი

- 1. საბაზისო მაჩვენებელი** - დასრულდა 23 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების, მათ შორის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით არსებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაზაზე ფუნქციონირებადი კოლეჯების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვა;  
**მიზნობრივი მაჩვენებელი** - გიზრდება რაოდენობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების, მათ შორის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით არსებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაზაზე ფუნქციონირებადი კოლეჯების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვა;

### მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი

დასრულებულია 10 პროფესიულ სასწავლებელში სხვადასხვა ტიპის სარეაბილიტაციო სამუშაოები. განხორციელდა 14 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების აღჭურვა საჭირო ინვენტარით და ტექნიკით.

### ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დასახულ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

- დაგეგმილ და მიღწეულ შედეგების ინდიკატორებს შორის ცდომილების მაჩვენებელი წარმოადგენს 54%-ს ვინაიდან, სამშენებლო კომპანიებმა არაჯეროვნად შეასრულეს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები, რის შემდგომაც შეიცვალა პრიორიტეტული მიმართულებები.

### უმაღლესი და სამეცნიერო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (32 06 02 03)

**განმახორციელებელი:** სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

### საანგარიშო პერიოდში, განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

- სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის დაფინანსება მიიღო სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, სსიპ – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა და სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ( უნივერსიტეტის მე-3 სასწავლო კორპუსი; ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის

ინსტიტუტის, პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის და რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის);

- სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა დაფინანსება მიიღო სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის შეძენის მიზნით.

### **დაგეგმილი შუალედური შედეგები**

რეაბილიტირებული და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებები.

### **მიღწეული შუალედური შედეგები**

**გაუმჯობესდა საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურა და სასწავლო გარემო.**

#### **დაგეგმილი შუალედური შედეგის ინდიკატორი**

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - განხორციელდა 10 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, მათ შორის მათ ბაზაზე არსებული სამეცნიერო -კვლევითი ერთეულების ნაწილობრივი მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვა;  
**მიზნობრივი მაჩვენებელი** - განხორციელდება 10 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მათ შორის მათ ბაზაზე არსებული სამეცნიერო -კვლევითი ერთეულების სრული მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვა;

#### **მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი**

1. განხორციელდა 5 უმაღლესი სასწავლებლის დაფინანსება სარეაბილიტაციო სამუშაოების და სამეცნიერო კვლევითი აპარატურით აღჭურვისათვის.

### **ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დასახულ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე**

ცდომილების მაჩვენებელი შეადგენს 50% -ს ვინაიდან „საქართველოს მთავრობის 2013 წლის 8 ნოემბრის № 289 დადგენილებით შექმნილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობის მიზნით დაფინანსების გამოყოფის საკითხების შემსწავლელი უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაციების მიღების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 ივლისის N1573 და 14 დეკემბრის N2698 განკარგულებების მიხედვით, უნივერსიტეტების დაფინანსება უნდა განხორციელდეს ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მიხედვით.

**სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიული ორგანოების ინფრასტრუქტურის განვითარება (32 06 02 04)**

**განმახორციელებელი:** სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

### **საანგარიშო პერიოდში, განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა**

- დასრულდა 10 (საჩხერე, მცხეთა, ზესტაფონი, წალენჯიხა, ქუთაისი, სამტრედია, ძველი თბილისი, ისანი-სამგორი, ლენტეხი და ონი) საგანმანათლებლო რესურსცენტრის რეაბილიტაცია;
- განხორციელდა სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს რეაბილიტაცია.
- დასრულებულია სსიპ ახალციხის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის (მასწავლებელთა სახლის) პროექტირება, ასევე, რუსთავისა და ახმეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრების პროექტირება.

### **დაგეგმილი შუალედური შედეგები**

რეაბილიტირებული და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირები და ტერიტორიული ორგანოები.

### **მიღწეული შუალედური შედეგები**

რეაბილიტირებულია სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის და ტერიტორიული ორგანოების შენობებზე;

### **დაგეგმილი შუალედური შედეგის ინდიკატორი**

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - განხორციელდა რიგი საგანმანათლებლო რესურსცენტრების სარეაბილიტაციო სამუშაოები;  
**მიზნობრივი მაჩვენებელი** - განხორციელდება რიგი სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიული ორგანოების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვა.

### **მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი**

1. განხორციელდა სამინისტროს სისტემაში შემავალი ერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირების და 10 ტერიტორიული ორგანოების საგანმანათლებლო რესურსცენტრის რეაბილიტაცია.

**ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დასახულ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე**

საანგარიშო პერიოდში არ მომხდარა სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიული ორგანოების ინვენტარით აღჭურვა, რადგან მათ მიერ აღნიშნულ ღონისძიებაზე მოთხოვნა არ განხორციელებულა.

